შპს მეცნიერებათა სკოლა
მისამართი: ქ. გორი, გორგასლის ქ. N1ა
ინდექსი: 1400
ელ-ფოსტა: ***schoolofscience.gori@gmail.com***
Tel:0(370)270556;
საიდენტიფიკაციო კოდი: **405317982**

School of science LLC
Addrss: 1a, Gorgasali str., Gori
p/index: 1400
E-mail: ***schoolofscience.gori@gmail.com***
Tel: 0(370)270556;
Identification Code: **405317982**

ქ. გორი 20.06.2023 წ.

ბრძანება N 01-63

შპს მეცნიერებათა სკოლის კათედრის დებულების დამტკიცების შესახებ

შპს მეცნიერებათა სკოლის წესდების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შპს მეცნიერებათა სკოლის დებულება დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის N30).

შპს მეცნიერებათა
სკოლის დირექტორი ეკატერინე სუხიშვილი

კათედრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. კათედრა თავის საქმიანობას წარმართავს, ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, შპს „მეცნიერებათა სკოლის“ (შემდგომში სკოლა) შინაგანაწესის და ამ დებულების შესაბამისად.

1.2. სკოლაში ფუნქციონირებს 5 კათედრა:

- **მათემატიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან I-VI კლასების მათემატიკისა და ისტის მასწავლებლები
- **უცხოური ენების კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან I-VI კლასების უცხოური ენების მასწავლებლები.
- **საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან I-VI კლასების მე და საზოგადოების,სამოქალაქო განათლების, ჩემი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიის, ჭადრაკის და ბუნებისმეტყველების მასწავლებლები.
- **ესთეტიკური აღზრდის და სპორტის კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიცშედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები.
- **ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან I-VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები.

მუხლი 2. კათედრის მიზნები და ამოცანები:

2.1 სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების პრაქტიკაში დანერგვა;
2.2 სახელმძღვანელოების, სასწავლო რესურსების ეფექტურად შერჩევა;
2.3 დამატებითი სასწავლო რესურსების მოძიება და ეფექტური გამოყენება;
2.4 პედაგოგთა სასწავლო პროგრამის შეასაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტთან;
2.5 პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარება;
2.6 პედაგოგთა პროფესიული განვითარება;
2.7 პედაგოგთა საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება.

მუხლი 3. კათედრის წევრობა

3.1 სკოლის მასწავლებლები ვალდებულნი არიან საგნობრივი ჯგუფის მიხედვით გაერთიანდნენ შესაბამის კათედრაში. ისინი თანასწორობის საფუძველზე მონაწილეობენ კათედრის სხდომებზე;

3.2 კათედრა იკრიბება პირველ სემესტრში ორჯერ (დასაწყისსა და დასასრულს), მეორე სემესტრში ორჯერ - სემესტრის შუაში და დასასრულს; კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე.

3.3 საჭიროების შემთხვევაში, რიგგარეშე სხდომის მოწვევის ორგანიზება ევალება კათედრის თავმჯდომარეს.

მუხლი 4. კათედრის წევრის უფლებები და მოვალეობები

4.1 კათედრის წევრს უფლება აქვს:

4.1.1 აირჩიოს და არჩეულ იქნეს კათედრის თავმჯდომარედ;

4.1.2 კათედრის სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას ისარგებლოს ხმის უფლებით;

4.1.3 შევიდეს ინიციატივებით სხდომაზე და განხილვაზე დააყენოს მისთვის საინტერესო საკითხი;

4.1.4 მონაწილეობა მიიღოს კათედრის სამუშაო გეგმის შემუშავებაში;

4.2 კათედრის წევრი ვალდებულია:

4.2.1 დაესწროს კათედრის სხდომებს (თუ არ არსებობს გაცდენის ობიექტური მიზეზი: ავადმყოფობა, ოჯახური მიზეზი და ა.შ.);

4.2.2 მონაწილეობა მიიღოს სახელმძღვანელობის, საგანმანათლებლო რესურსების შერჩევაში;

4.2.3 იზრუნოს კათედრის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის და ჯეროვნად შეასრულოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები;

4.2.4 მონაწილეობა მიიღოს სწავლების ახალი მეთოდების დანერგვაში;

4.2.5 იზრუნოს საკუთარი და კათედრის წევრების პროფესიულ განვითარებაზე.

მუხლი 5. კათედრის ფუნქციები

კათედრის ფუნქციებია:

5.1 საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირების განხორციელება;

5.2 რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.

5.3 კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;

5.4 საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა;

5.5 ხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა;

5.6 მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა;

5.7 თითოეული მასწავლებლის მიერ კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს წარმოშობილი პრობლემის განხილვა/გადაჭრა.

5.8 საგნობრივი კათედრის მიერ ჩატარებული თითოეული სხდომა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ოქმით.

მუხლი 6. კათედრის თავმჯდომარის არჩევის წესი

6.1. კათედრის თავმჯდომარეს ერთი წლის ვადით ირჩევენ კათედრის წევრები, სასწავლო წლის დასაწყისში ფარული კენჭისყრით;

6.2. კათედრის თავმჯდომარის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ კათედრის წევრებს.

მუხლი 7. კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები

კათედრის თავმჯდომარე:

7.1 უძღვება კათედრის სხდომებს და ხელმოწერით ამტკიცებს სხდომის ოქმებს;

7.2 სემესტრში ერთხელ ამზადებს ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ;

7.3 კათედრის მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

7.4 უზრუნველყოფს კათედრის სხდომების ორგანიზებას და დროულ ჩატარებას;

7.5 უზრუნვრელყოფს კათედრის სამუშაო გეგმის შესრულებას და გაწეული საქმიანობის მონიტორინგს;

7.6 უზრუნველყოფს კათედრის ეფექტურად ფუნქციონირებას და განვითარებისთვის სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებას;

7.7 კოორდინირებას უწევს კათედრის მუშაობას და უზრუნველყოფს ფუნქციების ეფექტურად გადანაწილებას კათედრის წევრთა შორის;

7.8 წარუდგენს წინადადებას და რეკომენდაციებს სკოლის ადმინისტრაციას და პედაგოგიურ საბჭოს;

7.9 ხელს უწყობს კათედრებს შორის ეფექტური თანამშრომლობის ჩამოყალიბებას;

7.10 აწარმოებს კათედრის დოკუმენტაციას;

7.11 კათედრის ხელმძღვანელის პორტფოლიო უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

- კათედრის სამოქმედო გეგმას;
- კათედრის დებულებას;
- კათედრის შეხვედრის ამსახველ ოქმს.

მუხლი 8. კათედრის სხდომა და გადაწყვეტილების მიღების წესი

8.1 კათედრა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ კათედრის სხდომას ესწრება კათედრის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3;

8.2 კათედრის სხდომა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით;

8.3 ხმების თანაბარი რაოდენობით გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კათედრის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 9. კათედრის დებულების დამტკიცება და ცვლილლების შეტანა

9.1 სკოლის კათედრის დებულებას შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი;

9.2 სკოლის კათედრის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.